№ 213 ოქტომბრის 4, ხუთშაბათი. 1866—1884 ოქტომბრის 4, ხუთშაბათი. № 213.

„დროების" რედაქცია — სიმონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში; ქუთაისში, ... წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის-ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ.; 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

### სასიამოვნო ნიშნები

თბილისი, ოქტომბრის 4-ს.

შურით წავიკითხეთ ამ დღეებში, რომ ინგლისურმა გაზეთმა „Standard"-მა 1883 წელს ორი მილიონ ნახევარი ფრანკი მისცა ნაღდი მოგება, Daily Telegraph-მა ექვს მილიონამდე და Times-მა (ინგლისურმა „დროებამ") კიდევ უფრო მეტი. დიახ, ცოდნა გამავრცელებელნი სხვებია, შურით წავიკითხეთ, მაგრამ იმ შურით, რომელიც ცუდს გრძნობას არ არის ჩაგონებული. ჩვენ ის კი არა გვშურს, ინგლისში მწიგნობრობა ასე განვითარებული და გაძლიერებული რამ არის, — ჩვენ ისა გვშურს და გვწყინს, რომ ჩვენი მწიგნობრობა შედარებით შორეულ მანძილზედაც ვერ გაუვლის, ცოტაც არის, განვითარებულს ლიტერატურას. ინგლისში და სხვა განათლებულ ქვეყნებში ლიტერატურა წინ მიუძღვის საზოგადოებას, აქ კი საზოგადოება ძლივ-ძლივსავით უკან მიათრევს მას. იქ ლიტერატორობა პროფესიაა, აქ კი ლიტერატორი ყველაფერია: მასწავლებელიც, ბანკირიც, კანცელიარისტიც, გარდა პროფესიით ლიტერატორობისა. იქ ლიტერატურა ჰკვებავს ლიტერატორებს, აქ, პირ-იქით, ლიტერატორებმა უნდა ჰკვებონ ლიტერატურა.

ასე ყოფილა და ასეა ყოველს ახლად ცივილიზაციისაკენ მიმართულს ხალხში და ამ ცუდმა მდგომარეობამ სრულიად გული არ უნდა გაგვიტეხოს. ყოველგან და ყოველთვის მწიგნობრობა ცოტათი მაინც ხელოვნებითი ნაწარმოები ყოფილა და ნელა შეუჩვევია ხალხი თავის სიტყვისა და აზრებისათვის. შემდეგში ეს ხელოვნებით გადმორგული მცენარე ფესვებს გაიდგამს, ნიადაგს შეეჩვევა და თუ მალე არა, გვიან მაინც, ბუნებრივ მცენარედ გადაიქცევა. ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენს ლიტერატურას ამ ბოლოს დროს ეტყობა ნიშნები ამ «გაბუნებრივებისა", თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და მართლაც, ლიტერატურა იმ დრომდე სრულიად უნიადაგო საქმე იქმნება, ვიდრე პროფესიით ლიტერატორები არ შეიქმნებიან და პროფესიით ლიტერატორობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხალხი შეეჩვევა ბეჭვდითს სიტყვას და ყურს დაუგდებს მწიგნობრობის მაჯის ცემას.

აქამდის ჩვენში ლიტერატურა იმისთანა ასპარეზი იყო, სადაც ხან-დისხან გამოდიოდნენ სხვა ასპარეზებიდამ დროებით სანავარდოდ და მალე ისევ თავ-თავიანთ კერძო საქმეებს უბრუნდებოდნენ. ბარათაშვილს რომ თავის «მერანი» და მთაწმინდაზედ «შემოღამება» საკანცელიარიო ბლანკებზედ არ ეწერა, მოხსენებათა და მიწერილობათა შორის, მარტო ერთ სიფრიფანა წიგნს არ დასტოვებდა თავის ლექსებისას; ორბელიანი რომ სამხედრო ასპარეზზედ მოღვაწე არა ჰყოფილიყო, იქნება, ყოველ წლივ თავის გძელის სიცოცხლისა თითო ორ-ორი ლექსი მაინც დაეწერა. თუ სხვანი უფრო ბევრს სწერდნენ და სწერენ, ეს მათს მუყაითობას უნდა დაბრალდეს და არა იმ გარემოებას, რა გარემოებაშიაც ისინი იყვნენ და ტრიალებდნენ.

და მერე ეხლა სადღაა ის სასიამოვნო ნიშნები, რომელნიც სათაურში მოვიყვანეთ, მეტყვის მოუთმენელი მკითხველი. ამ კითხვაზე პასუხის-მიგება ადვილი არის თითონ მკითხველისაგანვე, თუ იგი დააკვირდება ჩვენის ლიტერატურის ფრთების შესხმას ამ უკანასკნელს ხანს. თითქმის დღე ისე არ გავა, რომ ჩვენმა გულ-უხვმა გამომცემლებმა ჩვენი სამწიგნობრო ერთ ერთის ლამაზი გამოცემით მაინც არ დაამშვენონ. ეს წიგნები, თუმცა ხშირად ძველნი არიან, მაგრამ ხალხი მათ სიამოვნებითა ჰყიდულობს და

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 4-ს.

### სოფელი და სასოფლო სკოლა

(დასასრული*)

მეორე დღეს, ივლისის 29, დაპირებისა-თანახმად, მოხდა კრება სურების კანცელარიასთან და შევადგინეთ გარდაწყვეტილება და თხოვნა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სახელზედ იმ სახით, როგორც საჭირო იყო. ბ. დ—ძემ მიმართა კრებას მოკლე სიტყვით, რომლითაც გარკვევით და ცხადად დაუხატა სასოფლო სკოლის და საზოგადოდ სწავლა-განათლების სარგებლობა და დაჰპირდა მას დიდს შემწეობას მმართებლობისა და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მხრით. კრებამ დიდი სიამოვნებით მიიღო ბ. დ—ძის დარიგება და დაპირება, ამოარჩია მომავალი სკოლისთვის მზრუნველები და ხელ-მოწერილი გარდაწყვეტილება ხელთ ჩაგვაბარა.

სოფელი სურები წარმოადგენს გრძელსა და ვიწრო ადგილს, სიგრძით 30 ვერსამდე და სიგანით არა უმეტეს 2 ვერსისა, ისიც ყოველგან კი არა, რამოდენსამე ალაგს, ასე რომ სკოლის ადგილის არჩევა ერთობ ძნელია და უმეტესი ნაწილი სკოლას კარგად ვერ მისწვდება. საზოგადოდ სურები ერთობ მიუმხრობელი და მიყრუებული ადგილია. ბევრზე ხუმრობით ვარჩევდით ფილოლოგიურად სახელწოდებას «სურებისა»: სურები წინად უნდა ყოფილიყო „სულ ურები", ე. ი. სულ უვლილი (სულ ურები—სუურები—სურები) ადგილი და ამიტომ დაერქვა სურებიო,—ვხუმრობდით ჩვენ.

იმავ დღეს საღამოს ჩვენ გავემგზავრეთ მეორე სოფელს, საჯავახოს.

სოფელ საჯავახოში ჩვენ მოგველოდა უფრო რთული საქმე: ჩვენ აქ განვიზრახეთ ორი საზოგადოების ერთად შეერთება და ორ-კლასიანი სკოლის გახსნა. ბ. დ—ძემ გარდასცა ორივე საზოგადოების (ზემოხეთისა და ნანეიშვილის სოფლის) მამასახლისებს მიწერილობა და დანიშნა საზოგადო კრება აგვისტოს 5 სთვის. როცა კრება მოხდა, ბ. ბოქაულმა მიმართა ხალხს მოხდენილი სიტყვით და, როგორც წინა კრებაზედ, აქაც ნათლად აუხსნა შეკრების მიზეზი, საგანი და სთხოვა მზრუნველების ამორჩევა. ცოტახნის მოლაპარაკების შემდეგ, რამდენიმე მოხუცე კაცმა (60 თუ 70) მიუგზავნა ბ. დ—ძეს მოციქული: «თუ დღესვე გვიჩვენებთ სკოლის ადგილს და ჩვენთვის ნამეტან შორს არ დარჩება, იმ შემთხვევაში შევუერთდებით ჩვენც სხვებსაო, თუ არა და გთხოვთ მოგვცეთ ნება ცალკე სკოლის გახსნისაო». ბ. დ—ძემ იცოდა, რომ სკოლის ადგილის ამორჩევა ამ თავითვე სრულიად დაშლიდა საზოგადოებათა შეთანხმებას და იქნება კრებასაც უნაყოფოდ ჩაევლო და ამისთვის ამ თავითვე სკოლის ადგილის არჩევაზედ უარი განუცხადა; ცალკე სკოლის გახსნაზედ კი უთხრა, რომ სრული ნება აქვსთ გახსნან ცალკე, თუ კი ისურვებენ შენახვას ისე, როგორც რიგია. შეერთებულებმა კი ისურვეს ორ-კლასიანი სკოლის გახსნა და შენახვა იმ იმედით, რომ «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» მისცემს მათ, თუ მეტს არა, დაპირებულ შემწეობას მაინც.

ამ კრებაზედ დაესწრო ჩოხატაურის განყოფილების მსაჯულის თანაშემწე, ბ. მჟავია, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა რჩევით და საზოგადოების დარიგებით. პატივცემულმა მჟავიამ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა ხალხის განათლების საქმეში და დაჰპირდა მომავალ სკოლას ყოველ წლივ ოც-ოცს მანეთს. ესევე მჟავია დაჰპირდა აგრეთვე ფარცხმის სკოლას ჩოხატაურში, სადაც წელს დაიწყო სწავლა, სამ-სამს თუმანს ყოველ წელიწადს. პატივი და სახელი ყოველ იმისთანა ადამიანს, რომელიც თანაგრძნობით შეჰყურებს ხალხის განათლების საქმეს და მოცადინეა ბრმას თვალი აუხილოს?

ძიდევ განვიმეორებ, რომ დიდი მადლობის ღირსია ბ. ი. დ—ძე, რომელმაც დაუზარებლად შემოიარა ჩვენთან ერთად სურების მთები და ღარდოები საშინელს წვიმაში და ტალახში: რომ ის არა, ჩვენ ასე ვერ მოვაგვარებდით ამ საქმეს. მართალია, ჩვენ წინ მიგვიძღოდა გულწრფელი სურვილი და გულ-სმოდგინება, მაგრამ მარტო ეს არა კმაროდა, ამასთან გამოცდილებაც იყო საჭირო, და აი, ამისთანა კაცი გამოჩნდა ბ. ი. დ—ძე. «ძაცი საქმეში იცნობაო», ანდაზა ამბობს, და მეც ამ საქმეში გავიცანი იგი, როგორც სოფლისთვის სასარგებლო კაცი. მისურვებ მხოლოდ, რომ შემდეგშიაც განეგრძოს ბ. ი. დ—ძეს მსგავსივე შრომა და ზრუნვა მისდამი რწმუნებულ საზოგადოებათათვის.

ხსენებული ორი გარდაწყვეტილება, ესე იგი სოფელთ საჯავახოსი და სურებისა, წარვადგინე მე თბილისში «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» კანცელარიაში და ახლა ამ საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული მის დაპირებათა ასრულება. პატივცემულ საზოგადოებას არ უნდა ეპირვებოდეს იმის მოგონება, თუ რა დაბრკოლება მოსდევს ხალხის წადილის შეუსრულებლობას და მის ნდობის დაკარგვას; ამისთვის იმედი ვიქონიოთ, რომ ის აასრულებს უნაკლულოდ თავის დაპირებათა და შეეწევა საწყალ ღარიბ სოფლებს ამ სასარგებლო საქმეში.

უმორჩილესად ვთხოვთ პატივცე-მულ საზოგადოებას, რაც შეიძლება, მალე იშუამდგომლოს მთავრობის წი-ნაშე და გვაცნობოს შედეგი ჩვენი თხოვნისა: რაც საძნელო საქმეა, წინ გვიძევს, და ამიტომ საჭიროა მალე მივყოთ ხელი, რომ გაისად, სექტემ-ბერში, სწავლის გამართვაც შევიძ-ლოთ.

სილოვან.

ქ. ქუთაისი.
სექტემბრის 20-ს.

*) იხილე «დროება» № 212.

კითხულობს, თორემ, თუ ასე არ ყოფილიყო, გამომცემლებს მალე მოესპობოდათ ხალისი უმადური შრომისა და ხარჯისა,

მაგრამ დღეს ჩვენ ამ მოვლენაზედ დიდხანს არ შევჩერდებით, რადგან არა ერთხელ იყო ამაზედ ლაპარაკი ჩვენს გაზეთში. ეხლა ამ საგანზედ იმიტომ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ მიგვექცია მკითხველების ყურადღება ერთს სასიამოვნო მოვლენაზედ კიდევ, ე. ი. იმაზედ, რომ ეხლა ჩვენში პროფესიით ლიტერატორობა თითქმის შესაძლებელი ჰხდება. არიან კიდეც ორი-სამი პირი, რომელნიც მხოლოდ ლიტერატურითა სცხოვრობენ და დღითი დღე ამ მცირე რაზმს გადიდება მოელის. მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას, რომ წიგნების გამომცემელს, ბ. ჭილაძეს შეუკრავს პირობა ილია ჭავჭავაძესთან და აკაკისთან მათის თხზულებების გამოცემის შესახებ. ეს პირობა მათი კერძო საქმეა და სრული გამოაშკარავების ნება არა გვაქვს. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ორს ავტორს სრულიად არა ეხარჯებათ-რა თავიანთ გამოცემებზედ, ე. ი. გამომცემელი კისრულობს სრულს ხარჯს და მზაა წმინდა შემოსავალი შუა გაუნაწილოს მათ, ოღონდ მათი თხზულებების გამოცემის ნება კი ჰქონდეს.

ეს ამბავი ჩვენ მართლა რომ სასიამოვნო ნიშნად მიგვაჩნია. ამას იქით შეიძლება ისეთი დრო დაგვიდგეს, რომ ლიტერატორს შეეძლოს სრულად მიეცეს თავის საქმეს და გახდეს მართლა პროფესიით ლიტერატორი და არა დროებით ლიტერატურაში ბინა-მოკიდებული. შეიძლება ლიტერატურის შესახებ განმეორდეს ის მოვლენა, რაც სკოლების შესახებ მოხდა ჩვენში; პირველში დედ-მამას ფულს აძლევდენ, ოღონდ თავიანთი შვილები სასწავლებლებში მიეყვანათ და ეხლა კი, იმდენნი სწავლის მსურველნი ელალებიან სასწავლებლებს, რომ ხშირად, რაც უნდა ბევრი ფული დახარჯოს ამავე დედ-მამამ, «უვაკანსიობის» გამო, შვილს სასწავლებელში ვერ აძლევს და თვალ-ცრემლიანი ბრუნდება უკან... აქამდის და დღესაც ბევრს ლიტერატორს ჩვენში თითონვე უნდა დაეხარჯა ფული, რომ თავისი თხზულება დაბეჭდილი ენახა, ეხლა ესევ ლიტერატორი ადვილად შოულობს გამომცემელს, რომელიც გროშს არ ახარჯვინებს მას და პირიქით შრომის ფასსაც ჰპირდება. ნუ თუ ეს მოვლენა მართლა სასიამოვნო ნიშნად არ უნდა ჩაითვალოს ჩვენის მწიგნობრობისათვის?

---

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენი ამ გაზაფხულის სტუმარი, ბ. არტურ ლეისტი ამზადებს თურმე პოლშურ ენაზედ წიგნს შემდეგის სათაურით: „საქართველო და მისი მცხოვრებნი“, სადაც იქნება აღწერილი წარსული და აწმყო ჩვენის ქვეყნისა, ზნე და ჩვეულება ხალხისა და ქართული ლიტერატურის მდგომარეობა. მასუკან ეს წიგნი ნემეცურადაც გამოვა.

ამას გარდა, ბ. ლეისტი აპირებს გამოცემას ქართული ლექსებისას ნემეცურს ენაზედ. შემადგენელი ამ წიგნებისა აღტაცებით იგონებს თავის აქ ყოფნის დროს და ამბობს თურმე, რომ საუკეთესო წამები ჩემის ცხოვრებისა ეხლა ისინი არიან, როდესაც საქართველოზედა ვწერ, ვკითხულობ ან ვფიქრობო. ეჭვი არ უნდა, რომ, რაკი ჩვენს ქვეყანას ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზედ, მისი თხზულებებიც გრძნობით სავსენი იქნებიან.

═ გაზ. «კავკაზში» დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისაგან:

«კავკაზის» მე-215 №-ში მოყვანილია გაზ. „დროების“ სოხუმელი კორესპონდენციიდამ რამდენიმე ნაწყვეტი, რომლებშიაც საყვედური და ძაგებაა გამოთქმული „კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა“ და სოხუმის 1882 წ. საფილოქსერო დასის ექსპერტების, აგრონომთა ზეევსკისა და ხოჯაევის მიმართ. წელს ფილოქსერა აღმოჩენილ იქმნა ათის საჟენის სიშორეზედ იმ ადგილიდამ, სადაც შარშან იყო მუშაობაო, ამბობს კორესპონდენტი. ეს გარემოება იმის ბრალიაო, რომ ამ ადგილის პატრონი, სოხუმის ადმინისტრაციის გავლენიანი პირი, დებულების წინააღმდეგ, თავისით, სხვის დაუკითხავად, აწარმოებდა ყოველგვარ მუშაობას თავის ადგილზე და ბბ. აგრონომები ზეევსკი და ხოჯაევი კი ყურსაც არ იბერტყავდენო. და ეს საკვირველიც არ არის, რადგან თვით საფილოქსერო კომიტეტი გაჩუმებული იყოვო.

კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აზრით, ზემოხსენებული განმარტება არა სრულად მართალია და ამისათვის საჭიროდა სთვლის იმ საბუთების ძალით, რომელიც ხელში უჭირავს, სთქვას შემდეგი:

1882 წ., შემოდგომაზე, საფილოქსერო მუშაობის გათავების შემდეგ, სოხუმის ახლო, კომიტეტმა მოსპო დასის მოქმედებანი და თვალ-ყურის სადევნელად ადგილობრივ აღარავინ არ დაუტოვებია. კომიტეტი ასე მოიქცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ყველა გაფთხილდებოდა და მუშაობას არ დაიწყებდა 20 საჟენზე ახლო იმ ადგილებიდამ, სადაც ფილოქსერა იყო აღმოჩენილი. ეს მოლოდინი მით უმეტეს ჰქონდა კომიტეტს, რომ წინააღმდეგი მოქმედება აღკრძალული იყო, და თვით ადგილის პატრონთა ინტერესიც ამ კანონის დაცვას მოითხოვდა.

როცა საფილოქსერო მუშაობა დაიწყეს 1883 წ. აპრილში, ახლად შედგენილის სოხუმის საფილოქსერო დასის ექსპერტებმა, აგრონომებმა ზეევსკიმ და ვასილიევმა, მაშინვე შენიშნეს, რომ ზემოხსენებული განკარგულება დაერღვიათ 128, 151 და 150 №№ სასანიტარო ადგილების პატრონებს. პირველი ორი ადგილი ეკუთვნის სოხუმის საადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარეს, დღეს სოხუმის ოლქის უფროსს, პოლკოვნიკს ვვედენსკის, ხოლო უკანასკნელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მკეთებელს ინჟენერს პალაშკოვსკის.

ამ საგანზედ ზეევსკისა და ვასილიევის მიერ მაშინვე შედგენილ იქმნა ოქმი, რომელიც გადაეცა სოხუმის განყოფილების უფროსად ნამყოფს გენერალ-მაიორს არაკინს დამნაშავეთა პასუხის-გებაში მისაცემად. კომიტეტმაც ამ ოქმის პირის მიღებისათანავე შესაბამი მიწერ-მოწერა გამართა მაშინდელ სოხუმის განყოფილების უფროსთან.

როცა წარსულ წელს მუშაობა დაიწყო, შემუშავებულ ადგილებზე ვაზები აღარ შეინიშნებოდენ, რადგანაც მათი ზედა ნაწილები მიწის შემუშავების დროს დაეგლიჯათ და გადაეყარ-გადმოეყარათ.

წელს კი პოლკოვნიკის ვვედენსკის მამულში, ფილოქსერიან ადგილებიდამ 10 ნაბიჯზე, შენიშნულ იქმნა მიწაში დაფარულის ვაზის ძირებიდამ აძრული ნორჩი ყლორტები. ეს ყლორტები გასინჯეს და ნახეს, რომ იმ ფილოქსერიანი ძირებიდამ იყვნენ, რომელთა ზედა ნაწილი შემუშავების დროს იყვნენ დაგლეჯილნი საფილოქსერო მუშაობის დაწყებამდე 1883 წ. ამ სახით ფილოქსერიანი ვაზი 1883 წ. ვერ შენიშნა დასმა, იმიტომ რომ მამულის პატრონმა პოლკოვნიკმა ვვედენსკიმ დაარღვია მთავარ-მმართებლის მიერ დამტკიცებული განკარგულება კომიტეტისა, რომლის ძალით აღკრძალული იყო მუშაობა ფილოქსერიანი ადგილების ახლო-მახლო.

რომ კომიტეტის განკარგულება აღარავის არ დაერღვია შემდეგში, იგი თვალ-ყურს ადევნებდა ზემოხსენებულს ადგილებს იმ დროს განმავლობაში, როცა საფილოქსერო მუშაობა შეწყვეტილი იყო სოხუმის ახლო. თვალ-ყურს ადევნებდა, სახელდობრ, წარსულის წლის შემოდგომიდამ წრევანდლამდე, ვიდრე საფილოქსერო მუშაობა ხელ-ახლად იქმნა დაწყობილი.

═ ახალ-ციხიდამ გვწერენ: «ამას წინად საქალაქო ციხის ერთი კედელი გაანგრიეს პატიმრებმა და გაიქცნენ. მცველებმა მალე შენიშნეს, დაედევნენ უკან თოფებით, ერთი მოჰკლეს, ორი მძიმედ დასჭრეს, ორი დაიჭირეს და ორნი კი გაიქცნენ. საპყრობილე აღიზისა და ტალახისაგან არის აშენებულიო, — გვწერს კორესპონდენტი, — და რა არის გასაკვირველი, თუ ტუსაღები ჩაიდნის ყურითაც კი ანგრევენ კედელს აგერ ეს მესამედაო. ბარემ მოლობილს ადგილს შეჰყარონ ტუსაღები. უფრო ხშირად დააპირებენ გაქცევას და ხშირადვე მიეცემათ შემთხვევა ჰხოცონ და ჰკოდონ საცოდავნი, იმიტომ, რომ ხელ-გაუნძრევლად არა სხედან ერთს ალაგას და არა ცდილობენ ხვედრი სასჯელი დიდსულოვნობით აიტანონ».

═ ბორის სატუსაღოზე უფრო სასიამოვნო ხმა ისმის: როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, ტუსაღებს დანიშნული სახარჯო ფული ხელში თურმე ეძლევათ. ამ ფულს აძლევენ ერთს თავის ამხანაგს რიგით და ეს მიდის ბაზარში, ჰყიდულობს ყველაფერს, რასაც კი დააბარებენ და უმზადებს საჭმელს. სხვაფრივაც ბორის საპყრობილე არ არის ცუდს მდგომარეობაშიო.

რაიცა შეეხება ჩვენს წინანდელს შენიშვნას ამ ციხის ჰიგიენურ ვითარების უვარგისობაზე, უნდა ვსთქვათ, რომ ეს შენიშვნა გამოწვეული იყო სულ სხვა გარემოებით: იმ დროს ისე თურმე იყო გავსებული ციხე ტუსაღებითა, რომ თითო ოთახში ოც-ოცი და კიდევ მეტი პყრობილი ცხოვრობდა. ცხადია, რომ ეს გარემოება დროებითი იყო და დღეს ბორის სატუსაღო ისევ წინანდელს რიგიანს მდგომარეობაში ჩავარდნილა.

═ გაზ. «მწყემსის» (№ 19) უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ცნობანი ლეჩხუმის მდგომარეობაზე: „ვგონებ ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ლეჩხუმისთანა მცირე, ღარიბი და სწავლა-განათლებით ნაკლები მხარე ძალიან ცოტა მოიპოვება მთელს კავკასიაში. ადგილის მდებარეობითაც, სვანეთივით, თითქმის უსწორ-მასწორო, მთა-ტყიან სურათს წარმოგვიდგენს ლეჩხუმი. ლეჩხუმი ათ სამამასახლისოდ განიყოფება. მთელს ლეჩხუმში სულ ორი-ათას-შვიდას-ოთხმოც-და-ცხრამეტ კომლამდის იქნება. ამათ დიდის მეცადინეობით და გაჭირვებით, როგორც იქმნა, 1873 წელში ძლივს გახსნეს რვა ღარიბი სახალხო სასწავლებელი. სასწავლებლებს პირველად არავითარი საშუალება არა ჰქონდათ სასწავლო ნივთების მოპოვებისა. ლეჩხუმის ხალხის სიღარიბე მიიღო სახეში სახალხო განათლების მმართველობამ და იმ თავით ყოველნაირი მიუცილებელი საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სურათები სასწავლებლებს უფასოდ გამოუგზავნა და ამ საშუალებით სასწავლებლები თავის დანიშნულების აღსრულებას შეუდგნენ. მას შემდეგ დიდ სიკეთეს უშვრება და საკმაოდ აძლევს სკოლებს მუქთად სხვა-და-სხვა საჭირო და სასარგებლო სკოლის სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მასწავლებლები უმეტეს ნაწილად სასულიერო უწყებისა არიან. თითოეულს მათგანს 160 მანათი ჯამაგირი აქვს დანიშნული. ლეჩხუმის სახალხო მასწავლებლების უსაშუალო და გაჭირვებულს ცხოვრებას სამძღვარი არა აქვს. აქამომდე ცოტათი მაინც ასრულებდენ სკოლები თავიანთ დანიშნულებას და, ბევრად თუ ცოტად, მაინც შეამჩნევდით მათში სწავლას. ს. ალპანისა და დერჩის სკოლები, სამწუხაროდ, წელიწადი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის, რაც დაიკეტენ და სწავლა მათში მოისპო.

== ამავე ნომერში დაბეჭდილი მუთაისის საპყრობილის ერთი პატიმართაგანის წერილი, რომელშიაც იგი ჩივის, რომ ტუსაღებს არც საკითხავი რამ წიგნები მოგვეძებნება და არც რამ სამუშაკოვო. არ იქნებოდა ურიგო, რომ ციხის მღვდელს მიებაძნა თბილისის პატიმართა მღვდლის ლომაურისათვის, რომელმაც დააარსა ბიბლიოთეკა პატიმართათვის. ამ ბიბლიოთეკას, როგორც ჩვენ ნამდვილად შეტყობილი გვაქვს, არა მცირედი სარგებლობა მოაქვს ყოველ-გვარ გასართობს მოკლებულ და თითქმის ცოცხლადვე დამარხულ საცოდავ გარემოებათა მსხვერპლთათვის.

## სიტყვა, თქმული აკაკისაგან

ხელთუბნის სკოლის კურთხევის დროს

ოქტომბრის 1-ლს 1884 წ.

ამ წმინდა მამის დამოძღვრებისა და ბ. მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის შემდეგ, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც, ჩემო ძმებო, თუ ყურს დამიგდებთ, მინდა ცოტა ხანს მეც გესაუბროთ.

აქედან შორს, ბევრ ცხრა-მთას იქით, ზღვისპირად, ესპანიის ქვეყანაში არის ერთი პატარა მაზრა, რომლის უმშვენიერესი თითქმის არსად მოიპოვება; ყოველ გვარად შემკულია, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს: საოცარი ციებ-ცხელება იცის.

ამ მშვენიერ მხარეზედ არის ამბად ნათქვამი: ვითომც ერთხელ მამა ღმერთს ებრძანებიოს წმინდა გიორგისთვის: ვიცი, რომ გაჭირვებულ ხალხს ეწევი და მფარველობო; ამისთვის მადლიერი ვარ მე შენიო!... მთხოვე, რაც გინდა და აგისრულებო!» ისიც შეჰვედრებია ღმერთს: მე მეტი არა მინდა-რა, მხოლოდ იმ ქვეყანაში ციებ-ცხელება მოსპეო!» — «ეგ კი არ შეიძლებაო, — უბძანებია ღმერთს, — ეგ განგებით არისო: იქ რომ სნეულება მოვსპო, მაშინ ის კუთხე ამ სასუფეველს ემჯობინება და აქ ვინლა ისურვებს დადგომასაო".

ამ მხარისა არ იყოს, ეს ჩვენი პატარა ქვეყანაც, ყოვლისფრით სრულია, რომ ამასაც ერთი ჭირი არ აღგეს ხოლმე: მას არც ერთხელ მოსვენება არა ჰქონია; მიტომ, რომ მშვენიერი არის, ყველას მაგისი ხელში ჩაგდება ჰსურდა...

მაგრამ, ნათელი მათ საფლავს, რომ ჩვენ მამა-პაპებს თავი გამოუდვიათ და არავისთვის დაუნებებიათ!... მართლაც, ცალ ხელში რომ სამუშავო იარაღი ეჭირათ, მეორეში მტრის მოსაგერებელი, გული არ გასტეხიათ, თავი არ დაუზოგავთ. დღეს იმისთანა ადგილს ვერსად გამოვსძებნით ჩვენს ქვეყანაში, რომ მათი ძვლები არ ეყაროს! თვით აი ეს ადგილიც, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგევართ, შეიძლება მათის წმინდა სისხლით იყოს მორწყული!... დიაღ, ტანჯვით შესწირეს თავი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დაიცვეს თავისი ეროვნება...

დღეს სულ სხვა დრო გვიდგას: გარეშე მტერი აღარა გვყავს, მაგრამ....

იმ ძველ მტრებზე ეს ახალი მტერი უფრო საშიში და საფთხილოა. ცხად მტერს, პირდაპირ მომავალს, შეუპოვრად მიეგებები — მაგრამ რა უნდა უყოს უჩინარ მტერს, რომელზედაც თვალი ახვეული აქვს. ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. — სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება. თვალის ასახელად კი სულ სხვა გვარი იარაღებია საჭირო და ის იარაღები აი ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცილონ, თორემ ხომ ხედავთ, რა გემართებათ დღეს: გიყვარსთ თქვენი მიწა-წყალი და ვერ უვლით! — შრომობთ და ბარაქა არ არის! — გინდათ, რომ თქვენს თავს მოუაროთ, პატივისცეთ და არ შეგიძლიათ! — უსამართლოდ რომ ვინმე გადაგეკიდოსთ და მოინდომოს თქვენი დაჩაგვრა, თქვენ ხომ თქვენდათავად პასუხს ვერ აგებთ? უნდა წახვიდეთ და გამოსძებნოთ მისთანა კაცი, რომელიც თვალ-ტანად, ძალღონით და ჭკუა-გონებით თქვენზე ნაკლებია, მაგრამ, ცოდნა რომ მეტი აქვს თქვენზედ, ის დიდ-გულად, ბატონივით, გეპყრობათ და თქვენ კი მის წინ ქუდ-მოხდილები დგეხართ. ისიც, ორ სიტყვას რომ იტყვის თქვენს მაგივრად, ტყავს გაძრობსთ და თუ ორი კაპიკიც მოუსვა, სულსა გხდისთ! თუ გინდათ, რომ თქვენს შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეს, ამ სასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის ერთად ერთი თქვენი გამომხსნელი, აქ გამოზარდეთ შვილები და ისინიც სიყვარულით მოგიხსენებენ.

კიდევ ერთი სიტყვა!.. არაკით დავიწყეთ თქვენთან საუბარი და უნდა ნამდვილ ამბით კი დავაბოლოვო: სამი ძმა-კაცი იყო ძველად ჩვენში, კარგი ოჯახის შვილები და კარგადაც სცხოვრობდნენ. ბოლოს, რაღაც შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ...

შეჩვენებულებმა ისე გადაამტერეს, ისე გადაჰკიდეს ეს ძმები ერთმანეთს, რომ კინაღამ სამივეს ოჯახი დაუქციეს. მაშინ მიიხმო ის ძმები დედა მათმა და უთხრა: შვილებო! თქვენ ხომ სამივე ამ ერთის მუცლით მიტარებიხართო?.. დიაღ! უპასუხეს. ხომ ამ ერთი ძუძუთი გამიზდიხართო? მართალიაო! მიუგეს. ღმერთიც ხომ ერთი გყავსთო. რასაკვირველიაო! სთქვეს. ჰო და მაშ ერთმანეთს რაღას გადაჰკიდებიხართ ერთ-სისხლი და ერთ-ხორცი ძმებიო!.. პირჯვარი როგორც გინდათ ისე დაიწერეთო!.. ჩახვდენ მაშინ მოჩხუბრები გონებაში, შერიგდენ და ისევ გაძლიერდენ...

ეს მაგალითი მიტომ მოვიყვანე, რომ დღესაც არიან ჩვენში მისთანები, რომ სხვა-და-სხვა რჯულზედა დგანან და ერთმანეთის ძმები აღარა ჰგონიათ თავი. საჭირო არის, იმათაც გამოუჩნდეს დამრიგებელი დედა და უთხრას: თქვენ ხომ ერთი ქვეყნის შვილები ხართ? ერთის მიწა-წყლით ნაკვებნი!.. ერთი ენა გაქვსთ, ერთი ზნე და ერთი ჩვეულება. თქვენს მამებსაც ჭირი და ლხინი ერთად უნახავსთ და თქვენც ერთნი უნდა იყოთო... ამ გვარად თქვენი დამრიგებელი და შემაგნებელი უნდა იქნენ ამ ნაირი სასწავლებლები. და თქვენც, ჩემო ძმებო, ვალ-დებული ხართ, რომ ყური დაუგდოთ და გულ-წრფელად მოუსმინოთ!.. გაუმარჯოს ამ ახალ-ნაკურთხს — თქვენ სასწავლებელს, გაუმარჯოს იმ მოსწავლეთ, — მათზე მზრუნველებს და თქვენც ერთობით ყველას გაგიმარჯოსთ!

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

„დროების" 207-ში ჩვენ წავიკითხეთ ერთი ჩვენი საბლაღოჩინო მაზრის მღვდლის ი. ხ—ის წერილი, რომლითაც ის ჩვენ გვთხოვს ანგარიშს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისთვის შეკრებილი ფულების შესახებ. ფულის შემწირველს სრული უფლება აქვს შეიტყოს, მისგან შეწირული ფული სად არის, როგორ მოიხმარეს და რა სარგებლობა მოაქვს. ამისათვის სიამოვნებით ვასრულებ მღ. ი. ხ—ის თხოვნას.

როგორც მახსოვს, 1881 წელს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ ითავა 20 ათასი მანეთის შეკრება, მთავრობის ნება დართვით, იმ განზრახვით, რომ ამ ფულების სარგებლით დაქირავებულიყვნენ მასწავლებელნი გალობისა სასწავლებლებში და ესწავლებინათ, როგორც ქართლური ისე გურული კილოს გალობანი და ამ სახით აღდგენილიყო ორივე კილოს გალობა. ამის თაობაზე მოწოდებაც კი იყო დაბეჭდილი პატივცემულ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესაგან და ყველა შემწირველებს ჰპირდებოდა, რომ მათი სახელები და შეწირული ფულის რაოდენობაც „დროებაში" იქნებოდა გამოცხადებული. ყოვლად-სამღვდელომ ალექსანდრემ მიიღო სასულიერო მთავრობისაგან ფულის შესაკრებად წიგნი და ამ წიგნით კიდეც გაიგზავნა ერთი თუ ორი ბერი ჩამოსავლელად მთელს საქართველოში. ამაზედ ბლაღოჩინებსაც ეპისკოპოსისაგან მოწერილობა გვქონდა მიღებული, რომ სამღვდელოებაში შეგვეკრიბა ფულები. მეც ერთ საბლაღოჩინო შეკრებილებაზე ვუთხარი სიტყვა რწმუნებულ ჩემდამო სამღვდელოებას და განვუმარტე ქართული გალობის აღდგინების საჭიროება. სამღვდელოებამ თავის ჯიბიდამ შეკრიბა ოც-და-თოთხმეტი მანეთი ჩვენგან შეწირულ ფულიანად, შეადგინა სია, თვითონვე დაწერეს, თუ რამდენი შემოსწირეს და ჩამაბარეს. მეც, მართალია, დავპირდი მათ იმ სიის დაბეჭდვას „დროებაში". ეს ფულები მოწერილობის ძალით, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისთვის უნდა წარმედგინა. იმ ხანებში ყვირილის ვაგზალზედ ვნახე ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე; მან, სხვათა შორის, მითხრა, რომ ეს შეკრებილი ფულები მისთვის გამეგზავნა და შემწეობა აღმომეჩინა ბერისთვის, რომელიც ჩემთან მოდიოდა წიგნით იმ ხანებში გალობის აღდგინებისთვის ფულების მოსათხოვად. არ გასულა ერთი კვირა, მოვიდა ჩემთან ლორთქიფანიძე ბერი. მე მას კაცი გავატანე საბლაღოჩინოში. ეს ბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და სოფელში მოხვეჭილი ფული ორმოცი მანათი მოიტანა ჩემთან და მთხოვა გამეგზავნა ალექსანდრესთან. ეს ორმოცი მანათი და წინანდელი ოც-და-თოთხმეტი თი,მანა სულ 74 მ., მე გავუგზავნე სიითურთ ოზურგეთში ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს იანვრის 25-ს 1883 წელსა, რომელზედაც ფოსტის კვიტანცია მიღებული მაქვს. ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრეს მე ვსთხოვე შემწირველების სახელების გამოცხადება «დროებაში», თანახმად მათი სურვილისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღემდის არაფერი არა გამოცხადებულა-რა და არც ის ვიცი, მიიღო თუ არა ეს ფულები. ამისათვის იყო ორიოდე სიტყვა გამოთქმული «მწყემს»-ში იმის შესახებ, რომ შემწირველების სახელები გამოცხადებულიყო ან «დროებაში» და ან «მწყემს»-ში, მაგრამ ამ ჩვენმა უბრალო მოთხოვნილებამ საჩივრები გამოიწვია და მრავალი უსიამოვნობა დაბადა.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე შეგვატყობინებს: მიიღო თუ არა ეს 74 მ. ფული, ჩემგან გაგზავნილი იანვრის 25-ს 1883 წელს ფოსტით ოზურგეთში? თუ არ მიუღია, ჩვენ ვეცდებით საქმე დავიწყოთ და ფოსტასვე მოვთხოვოთ. არ იქნება ურიგო, რომ ისიც გამოცხადდეს, თუ რამდენი შეიკრიბა ფული, რომელ ბანკში ინახება და რა შემოაქვს სარგებელი წლიურად. ეს ისეთი უბრალო მოთხოვნილება არის, რომ საწყენად არავის არ უნდა დაუჩნეს.

შორაპნის საბლაღოჩინო მაზრის ბლაღოჩინი

მღ. დ. ღ—ძე.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ოქტომბრის 2-ს

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს სამხედრო სამჯავროში დაიწყო კუნავინაში ებრაელთა აკლების საქმის გარჩევა. ბრალდებული 72 კაცია, მოწმები 200. საქმის გარჩევა გასტანს არა ნაკლებ ორის კვირისა.

ჰონ-კონგი. ოქტომბრის 8-ს (ახ. სტ.) ფრანცუზები ტინჯუიში

გადასხდენ, მაგრამ ორი საათის ბრძოლის შემდეგ უკან დაიწიეს.

ოქტომბრის 3-ს.

**პეტერბურგი**. გენერალ-ადმირალმა, რა დაჰხედა ხომალდებზედ მეშაობას ნიკოლაევში და სევასტოპოლში, მადლობა გამოაცხადა და იმედი შავის-ზღვის ფლოტის აღდგინებისა; ამას გარდა აცნობა, რომ ხემწიფე იმპერატორისაგან შემდეგი ტელეგრამა მოუვიდა: «გმადლობ ცნობისათვის; მიხარიან, რომ შავის ზღვის ფლოტი კვალად აღსდგება. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ ჩინებულის ფლოტის სულიც განახლდეს და ერთგულად და ღირსეულად შეუდგეს იგი მამულის სამსახურს».

გზათა სამინისტროს რჩევაში აპირობენ ინჟინერების გარდა დანიშვნას შინაურ საქმეთა, ფინანსთა, სამხედრო და ზღვის სამინისტროს წარმომადგენელთა.

**პარიჟი**. გუშინ გაიხსნა პალატის სხდომები. ზღვის მინისტრმა წარუდგინა დეპუტატთა პალატას მოთხოვნილება დამატებითი კრედიტისა ტონკინის ექსპედიციისათვის—თერთმეტი მილიონი ფრანკისა; სამხედრო მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი განსაკუთრებული საკოლონიო არმიის მოწყობისა.

## ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. 2½

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. 4½

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. 2½

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარ. ლავაში 1 გ. 4½

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3½

ქესამისა — — —1 გ. 3 კ.

მროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 7 კ.

მეორისა — —1 გ. 6 კ.

სუკი . . . —1 გ. 14 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.

მეორისა — — —1 გ. — კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


## განცხადებანი

**იძლევა ქირით**

8 ოთახიანი სახლი, ზემო სართულში, ოკტომბრის 1-დგან ყოველივე მოწყობილობით. ქვედა სართულშიც 4 ოთახი ქირავდება აგრეთივე მოწყობილებით. საპიორნის ქუჩაზე, № 47, რომელიც იყო ანდრონიკაშვილისა, სამედიცინო მმართველობის ახლო, სადაც სცხოვრებდა თავად-აზნაურობის წინამძღოლი და სადაც მოთავსებულია სადეპუტატო კრება.

ფასის შეტყობა იქვე შეიძლება. (3—3)

**თელავის დამზოგველი საზოგადოების მმართველობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამავე საზოგადოების «დეპო» მიიღებს გასასყიდად ყოველ-გვარ ქართულს წიგნებს. გასყიდული წიგნების ფულს, წიგნის პატრონი მიიღებს მუდამ იანვრის თვეში, წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, 10% გამორიცხვით «დეპოს» სასარგებლოდ. (10—3)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისის უმთავრესს წიგნის მაღაზიებში მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური

**ლექსიკონი**

**მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა**

სამეფოებიდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. — ფასი ადგილობრივ ორი მანათი. (10—4)

გამოვიდა და ისყიდება

თბილისში — „ნობათი"-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში № 7), შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში

# თორნიკე ერისთავი

## ისტორიული პოემა

თხზ. აკაკისა. გამოცემა ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციისა.

ფასი ერთი მანათი.

ვინც ამ წიგნს პირ-და-პირ „ნობათი"-ს რედაქციიდამ დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი არ გადახდება. (5—4)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—19)

დაიბეჭდა და ისყიდება, თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს

## მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად. (10—7)

**ვაჭრობა საღებავებით**

ქავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**საღებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტივეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტივესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—65)

**ყმაწვილ-კაცს**

რომელსაც გაუთავებია გიმნაზია და ერთი წელიწადი უმაღლეს სასწავლებელში ყოფილა, სურს იშოვოს ლათინური, ბერძნული და ფრანცუზული ენების

**გაკვეთილები.**

ადრესი: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. (3—2)

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაჭრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორისა, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფრა, საწყაო, სავები, რიუმკები, გრაფინები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფუძვლები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წასმქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, დანები, ზარადები, კაპსიულები, ხათუნები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალოგინეებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, პიკულები, სოუსები' ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—55)


Доз. ценз. Тифлисъ, 3 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი